

ჯგუფის სტანდარტი

ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების რისკების მართვა

მოქმედების სფერო **ჯგუფი**

გამოცემულია **11/2019**

ვერსია **1.0**

შინაარსი

1 დანიშნულება 3

2 მიზანი 3

3 მოქმედების სფერო 3

4 როლი და პასუხისმგებლობები 4

5 განმარტებები..... 5

6 H&S რისკების მართვა..... 6

6.1 სამუშაოს დოკუმენტირება 6

6.2 საფრთხეების იდენტიფიცირება 7

6.3 რისკის შეფასება..... 7

6.4 რისკის კონტროლი 7

6.5 საფრთხის გადაფასება-ნარჩენი რისკები..... 8

7 H&S რისკის შეფასების სახეები..... 8

7.1 რისკების შეფასება რუტინული სამუშაოებისათვის..... 8

7.2 რისკების შეფასება არარუტინული სამუშაოებისათვის 8

7.3 დინამიური რისკების შეფასება..... 9

7.4 რისკების შეფასება – „სამუშაო ობიექტი“ (სამუშაო ობიექტის რისკების რეესტრი) 9

8 დოკუმენტაცია..... 9

8.1 შაბლონი 9

8.2 H&S რისკების ინვენტარიზაცია 9

8.3 საინფორმაციო პაკეტები..... 10

9 პერსონალის ჩართულობა..... 10

10 რისკების კონტროლის იერარქია..... 11

11 კომპეტენცია 11

12 დანერგვა და კონტროლი..... 12

13 დამატებითი ინფორმაცია და დოკუმენტაცია 12

დანართი 1 – რისკების შეფასების ფორმის ნიმუში 13

დანართი 2– ისკების მატრიცა..... 13

დანართი 3 – პოტენციური საფრთხეები (არა სრულყოფილი)..... 14

1 დანიშნულება

ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების აღნიშნული სტანდარტი წარმოადგენს სახელმძღვანელოს მენეჯერებისათვის H&S რისკების მართვისათვის.

რისკების მართვა წარმოადგენს საფუძველს ჯანმრთელობის დაცვასა და შრომის უსაფრთხოებისათვის. კომპეტენტური რისკების შეფასება და მართვა წარმოადგენს საშუალებას, რათა მივაღწიოთ კომპანიის პოლიტიკით გათვალისწინებულ მიზანს- ნულოვანი ინციდენტი სამუშაო ადგილზე.

სავალდებულოა გატარებული იქნას ღონისძიებები ადგილობრივ დონეზე, აღნიშნული სტანდარტის დასანარგად. ნებისმიერი ღონისძიება, რომელიც მიმართულია სტანდარტის დასანერგად უნდა იყოს მოქცეული ადგილობრივი კანონმდებლობითა და ჯგუფის სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან. იმ შემთხვევაში თუ წარმოიქმნება წინააღმდეგობა კანონმდებლობასა და სტანდარტს შორის, უპირატესობა უნდა მიენიჭოს უფრო მკაცრ მოთხოვნას.

უნარი და შესაძლებლობა, რათა მოხდეს რისკების შეფასებისა ნებისმიერი სამუშაოს დაწყებამდე კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რათა ჩვენმა თანამშრომლებმა შეძლონ:

- საფრთხეების იდენტიფიცირება (ნებისმიერი რამ ზიანის პოტენციალით)
- შეფასება და რისკი აღქმა
- განსაზღვრა თუ ვინ როგორ შეიძლება დაზიანდეს (თანამშრომლები, კონტრაქტორები, მე-3 მხარე, მოსახლეობა და ა.შ.)
- საკონტროლო ზომების განსაზღვრა რისკების შემცირებისათვის
- შეამოწმონ რომ ამუშაოს უსაფრთხოდ შესრულების სისტემები და მეთოდები შეთანხმებულია და მიზანშეწონილია სამუშაოსათვის.

2 მიზანი

არსებული სტანდარტის მიზანია რისკების შეფასების საკითხებში ცნობიერების ამაღლება, და კომპეტენციის გაზრდა რათა შემცირებული იქნას ინციდენტები არასწორად შეფასებული რისკების გამო. შესაბამისი ტექნიკური, ორგანიზაციული და პერსონალური ზომების გატარებით სამუშაოები უნდა იყოს მაქსიმალურად უსაფრთხო, როგორც კომპანიის თანამშრომლებისათვის ასევე ყველა იმ პირებისათვისაც, რომლებიც არიან ჩვენი საქმიანობის ზეგავლენის ქვეშ.

3 მოქმედების სფერო

H&S რისკების მართვა სავალდებულოა ჰაიდელბერგცემენტის ჯგუფში შემავალი ყველა სამუშაო ობიექტისათვის, სადაც კომპანია ახორციელებს მათვას და კონტროლს.

კონტრაქტორი ორგანიზაციები, რომლებიც მუშაობენ ჰაიდელბერგცემენტისათვის ვალდებულნი არიან დაიცვან არსებული სტანდარტი. ისინი უნდა იყვნენ იმფორმირებულნი აღნიშნული სტანდარტის შესახებ და მათ გააჩნიათ იგივე ვალდებულებები როგორც კომპანია ჰაიდელბერგცემენტის თანამშრომლებს და მენეჯმენტს. .

შენიშვნა: არ გააიგივოთ და აგერიოთ „რისკების მართვის სახელმძღვანელო“ ჯგუფის დაზღვევისა და კორპორატიული რისკების სახელმძღვანელოსთან, რომელიც გათვალისწინებულია სტრატეგიული, საოპერაციო, ფინანსური, საკანონმდებლო და ა.შ. რისკების მართვისათვის.

4 როლი და პასუხისმგებლობები

აღნიშნულ სტანდარტში ნათლად არის განსაზღვრული როლი და პასუხისმგებლობები კონკრეტული მენეჯერებისათვის ორგანიზაციული მართვის სტრუქტურის გათვალისწინებით.:

მმართველთა საბჭო და აღმასრულებელი კომიტეტები ქვეყნის დონეზე

შრომის უსაფრთხოების ყველა პროგრამის, მათ შორის რისკების მართვის სახელმძღვანელოს წარმატებით დანერგვა განხორციელებისათვის მმართველთა საბჭოს და ქვეყნის აღმასრულებელი კომიტეტების ლიდერობა და ჩართულობა წარმოადგენს მათ უპირველეს ვალდებულებას.

დარგის მენეჯერები

არიან პასუხისმგებლები არსებული სახელმძღვანელოს დანერგვისათვის შუა და ქვედა რგოლის მენეჯერებთან ერთად.

ისინი ვალდებულნი არიან რომ დარწმუნდნენ:

- ყველა შესაძლო საფრთხერ მათი პასუხისმგებლობის ქვეშ მყოფ ტერიტორიაზე თუ სამუშაო პროცესებში არის იდენტიფიცირებული და დოკუმენტირებული.
- საფრთხეებთან დაკავშირებული რისკების არის შეფასებული;
- ყველა რისკი არის შემცირებული კონტროლის იერარქიის გათვალისწინებით
- რისკის შემცირება/კონტროლისათვის განსაზღვრული ზომები არის კონტროლირებადი და მათი ეფექტურობა მუდმივ რეჟიმში შემოწმებული;
- ყველა პირი, რომლებზედაც აქვს საფრთხეს ზეგავლენა არიან ინფორმირებულნი კონტროლის ზომებზე და მათ გატარებაზე.
- ყველა პიროვნებას სამუშაო ობიექტზე, მათი პასუხისმგებლობის დონიდან გამომდინარე არიან შესაბამისად განსწავლულნი საფრთხეების იდენტიფიცირებასა და რისკების შეფასებაზე.
- ყველა პიროვნება სამუშაო ობიექტზე (თანამშრომლები, კონტრაქტორები და ვიზიტორები) მუშაობენ და მოქმედებენ დოკუმენტირებული სამუშაო პროცედურებით.

ქვეყნებში სადაც ინგლისური არ არის სახელმწიფო ენა, მენეჯმენტი ვალდებულია თარგმნოს არსებული სტანდარტი ადგილობრივ ენაზე.

მენეჯერები უნდა დარწმუნდნენ რომ კონტრაქტორები და ქვე-კონტრაქტორები, რომლებიც მუშაობენ ჰაიდელბერგცემენტში იცავენ ქვემოთ მოყვანილ წესებს.

ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების მრჩეველები

H&S მრჩეველები ახორციელებენ მხარდაჭერას, სწავლებას და მუშაობენ მენეჯერებთან აღნიშნული სტანდარტის დანერგვა განხორციელებისათვის. მიუხედავად ამისა სტანდარტის დანერგვა წარმოადგენს დარგის მენეჯერების პასუხისმგებლობას.

H&S მრჩეველები პასუხისმგებლები არიან:

- მისცენ რჩევები დარგის მენეჯერებსა და თანამშრომლებს რისკების შეფასების მეთოდოლოგიაზე;
- უზრუნველყონ რისკების შეფასების ტრეინინგები და დაეხმარონ მათ დანერგვაში
- განახორციელონ სტანდარტთან შესაბამისობის შემოწმება მინიმუმ ერთხელ ორი კალენდარული წლის განმავლობაში ან უფრო ხშირად თუ ესეთი რამ გათვალისწინებულია ადგილობრივი კანონმდებლობით.

ჰაიდელბერგცემენტის თანამშრომლები და კონტრაქტორი პირები

ისინი პასუხისმგებლები არიან:

- დარწმუნდნენ, ყველა სამუშაო რაც ხორციელდება თანამშრომლების და კონტრაქტორების მხრიდან კომპანიის ტერიტორიაზე ესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან (მათ შორის მგზავრობა კომპანიის საქმეებზე და კლიენტის ობიექტზე ყოფნა).
- სამუშაოს შესრულებისას საფრთხეების იდენტიფიცირება და რეპორტირება პირად ხელმძღვანელთან ყველა სახის არაკონტროლირებად საფრთხეზე.
- სამუშაო პროცედურების დაცვა და რისკების შეფასებით განსაზღვრული ინდ.დაცვის გამოყენება.
- დარწმუნდნენ, რომ ყველა მათი ქმედება არ წარმოშობს საფრთხეებს არა მარტო საკუთარი თავისათვის არამედ გარშემომყოფთათვისაც.
- სამუშაოს შესრულებისას დარწმუნდნენ როგორც საკუთარ ასევე გარშემომყოფთა უსაფრთხოებაში
- კონტრაქტორი ვალდებულია მოგვანოდოს რისკების დოკუმენტირებული შეფასება მათ მიერ განსახორციელებელ სამუშაოებზე, მანამ სანამ მოხდება მათი ავტორიზება სამუშაოს დასაწყებად ჰაიდელბერგცემენტის პასუხისმგებელი პირის მიერ.

5 განმარტებები

რისკების შეფასება	სისტემური და სტრუქტურული პროცესი, რის საფუძველზედაც ხდება იმ საფრთხეების იდენტიფიცირება, შეფასება და საკონტროლო ზომების განსაზღვრა რომელიც წარმოადგენილია სამუშაო ადგილზე ან წარმოიქმნება სამუშაოს შესრულებისას.
საფრთხე	სამუშაო გარემოს მდგომარეობა, მოწყობილობები და სამუშაოს შესრულების მეთოდები, რომლებთანაც გააჩნიათ ზიანის მოტანის პოტენციალი.
რისკი	შესაძლებლობა იმისა, რომ საფრთხეს მოიტანს ზიანს საფრთხის დადგომის ალბათობისა და სიმძიმის გათვალისწინებით
ალბათობა	საფრთხის დადგომის შესაძლებლობა კონკრეტულ სამუშაო ადგილზე ან შესასრულებელ სამუშაოზე
სიმძიმე	შეფასება იმისა თუ რამდენად სერიოზული შესაძლოა იყოს ზიანი
სიხშირე	სამუშაოს/აქტივობის პერიოდულობა, რა პერიოდშიდაც საფრთხეს შესაძლოა ქონდეს ზემოქმედება
გონივრულად პრაქტიკული	როგორც ძირითადი სახელმძღვანელო გონივრულად პრაქტიკული ნიშნავს, რომ პიროვნებამ უნდა იმოქმედოს გონივრულობის ფარგლებში და გაითვალისწინოს: <ol style="list-style-type: none"> a. საფრთხის ალბათობა, რამაც შესაძლოა ადამინის ან მატერიალური ქონების დაზიანება გამოიწვიოს b. დაზიანების სიმძიმის ხარისხი c. რომ დაინტერესებული პირი ათვითცნობიერებს საფრთხეს ან რისკ და ათვითცნობიერებს მათი აღმოფხვრის ან შემცირების საშუალებებს; d. რისკის შემცირების შესაძლებლობა და ეფექტურობა e. რისკების აღმოფხვრა/შემცირების ღონისძიებათა ღირებულება არის თუ არა პროპორციული რისკისა.

კომპეტენცი ა	კომბინაცია სწავლულობის, უნარების, გამოცდილებისა და ცოდნის, იმისათვის რომ პიროვნებამ შეძლოს სამუშაოს უსაფრთხოდ შესრულება.
კომპეტენტური პირი	პირი რომელსაც აქვს შესაძლებლობა იდენტიფიცირება მოახდინოს არსებული ან პოტენციური საფრთხეები, რომლებმაც შესაძლოა დააზიანონ ადამინი ან მატერიალური ქონება და რომელსაც ხელეწიფება მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილებები და ზომები საფრთხის აღმოფხვრა/კონტროლის მიზნით.

6 H&S რისკების მართვა

რისკების შეფასება შედგება რამოდენიმე სავალდებულო საფეხურისაგან:

1. **სამუშაოს დოკუმენტირება** – განსაზღვრა იმისა თუ რა კეთდება
2. **საფრთხეების იდენტიფიცირება** – განსაზღვრა იმისა თუ რამ შეიძლება მოიტანოს ზიანი სამუშაოს შესრულების ყველა საფეხურზე
3. **რისკის შეფასება** – გადაწყვეტილების მიღება, როდესაც უნდა მოხდეს ზიანის გაცნობიერება, თუ რა სერიოზულობის იქნება ზიანი მისი დადგომის ალბათობისა და სიმძიმის გათვალისწინებით
4. **რისკების კონტროლი** – ყველაზე ეფექტური გონივრულად პრაქტიკული ზომების განერგვა ზიანის პრევენციისათვის
5. **საფრთხის გადაფასება** – დარწმუნება იმაში, რომ დაგეგმილი საკონტროლო ზომები არის ეფექტური და რომ ღონისძიებები რეალურად არის დანერგილი და გატარებული სამუშაოს შესრულებისას.

რისკების მართვის პროცესი სავალდებულოა სამუშაოს დაწყებამდე, როდესაც ის პირველად კეთდება. ის უნდა იყოს დოკუმენტირებული და ხდებოდეს მისი პერიოდული გადახდვა და განახლება მინ. 3 წელიწადში ერთხელ თუ რაიმე არ არის გათვალისწინებული ადგილობრივი კანონმდებლობით.

რისკების შეფასების გაახედვა განახლება ასევე სავალდებულოა, როდესაც:

- იგეგმება ახალი მოწყობილობის შექმნა ან არსებული მოდიფიცირება;
- ახალი ხელსაწყოების და მასალების გამოყენებამდე;
- სამუშაო პროცედურის შეცვლისას.
- პერსონალის ან ორგანიზაციული ინციდენტების, ინსპექტირებების აუდიტის და ა.შ. შემთხვევაში.

დანართი 1 წარმოადგენს შაბლონს, სადაც მოცემულია თუ ოგორ უნდა მოხდეს საფრთხის დოკუმენტირება, რისკების შეფასება და საკონტროლო ზომების განსაზღვრა.

კომპანიები უკვე ახორციელებენ სხვადასხვა სახის ფორმებს, რისკების მართვისათვის, მაგრამ უნდა დავწრწმუნდეთ, რომ უკვე არსებული ფორმები თავსებადია სახელმძღვანელოში არსებულ შაბლონთან.

6.1 სამუშაოს დოკუმენტირება

რისკების მართვის პირველი ეტაპია სამუშაოს დოკუმენტირება. არსებული პროცესისათვის საჭიროა ჩამოვწეროთ ყველა ის ქვე სამუშაოები ან აქტივობები, რაც დაკავშირებული ერთი კონკრეტულ სამუშაოს შესასრულებლად. ყოველივე ეს უნდა განხორციელდეს ქრონოლოგიურად თანმიმდევრობით.

6.2 საფრთხეების იდენტიფიცირება

აღნიშნულ ეტაპზე სავალდებულოა მოხდეს სამუშაო/აქტივობასთან დაკავშირებული საფრთხეების იდენტიფიცირება. სავალდებულოა გათვალისწინებული და გააზრებული იქნას ყველა ის ფაქტორი რამაც შესაძლოა ზიანი მოიტანოს სამუშაოს შესრულების ყველა საფეხურზე. სავალდებულოა ასევე შემოწმებული იქნას სამუშაო გარემო (ქვემოთ, ზემოთ, გარშემო და ა.შ.) რათა მოხდეს სამუშაო გარემოში არსებული საფრთხეების იდენტიფიცირებაც. იდენტიფიცირებული საფრთხეები უნდა იყოს დოკუმენტირებული.

6.3 რისკის შეფასება

რისკის შეფასება ნიშნავს:

- ზიანის გარემოება, რაც გამოწვეულია საფრთხისაგან
- საფრთხის რეალიზაცია/დადგომის ალბათობა
- შედეგის სიმძიმე რაც დაკავშირებულია საფრთხესთან

აღნიშნული ნაბიჯის მიზანია განისაზღვროს რისკის დონე არსებული კონტროლის ზომების გათვალისწინებით.

რისკების შეფასება წარმოადგენს გადაწყვეტილების მიღების პროცესს, როდესაც უნდა გავითვალისწინოთ ის შესაძლო შედეგი/ზიანი რაც შეიძლება მიაღწეს ადამინს, საწარმოს, მატერიალურ ქონებას და ა.შ. და ალბათობა იმისა რომ ეს ზიანი შესაძლოა დადგეს.

რისკის დონის განსაზღვრისათვის გამოყენებული უნდა იყოს რისკების მატრიცა. ალბათობისა და სიმძიმის ცალ ცალკე შეფასება საშუალებას იძლევა მივიღოთ რისკის მაქსიმალურად რეალობასთან მიახლოებული დონე.

ცოდნა და გამოცდილება ადგილობრივ დონეზე, ასევე უკვე დამდგარი მოვლენები ინციდენტების სახით მათი ცოდნა ასევე წარმოადგენს ერთ ერთ მნიშვნელოვან საშუალებას იმისათვის რომ სწორად შევაფასათოთ როგორც სიმძიმე ასევე ალბათობა.

კომპანია ჰაიდელბერგცემენტი გამოიყენებს რისკების შეფასების მატრიცას, რომელიც მოცემულია დანართ 2-ში. მიუხედავად ამისა ადგილობრივ დონეზე შესაძლებელია გამოყენებული იქნას სხვა სახის მატრიცებიც რისკების დონის დადგენისათვის.

6.4 რისკის კონტროლი

პრაქტიკულად გონივრული საკონტროლო ზომების იმპლემენტაცია უნდა მოხდეს კონტროლის იერარქიის გათვალისწინებით.

მას შემგომ, როდესაც მოხდება რისკის დონის განსაზღვრა სავალდებულოა შედგეს სამოქმედო გეგმა რისკების მისაღებ დონეზე დასაწევად. (იხილეთ თავი 10)

სამოქმედო გეგმა, რომელიც გაიწერება რისკების შეფასების ფორმაში უნდა შედგეს იერარქიის გათვალისწინებით

პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს ეხტრემალურ და მაღალ რისკებს.

6.5 საფრთხის გადაფასება-ნარჩენი რისკები

საფრთხის იდენტიფიცირების, რისკის შეფასებისა და საკონტროლო ზომები გატარების შემდგომ სავალდებულოა შევავსოთ კონტროლის ზომების ეფექტურობა, ანუ ნარჩენი რისკი, იმისათვის რომ დავრწმუნდეთ, რომ საკონტროლო ზომები არის ეფექტური.

აღნიშნული შესაძლოა გაკეთებული იქნას შემდეგნაირად:

- ფიზიკურად ადგილის დათვალიერებით, თანამშრომლებთან გასაუბრებით;
- ინფორმაციის ანალიზით, რომელსაც ვიღებთ ინციდენტების, ინსპექტირების ანგარიშის, გასაუბრებებისა და ა.შ. მეშვეობით.
- დოკუმენტირებული რისკების შეფასების გადახედვით, რომელიც უნდა ჩატარდეს მინიმუმ 3 წელიწადში ერთხელ თუ სხვა დამატებითი გარემოებები არ არსებობს.

7 H&S რისკის შეფასების სახეები

რისკების შეფასება ძირითადად არის სამი სახის- რუტინულ და არარუტინულ სამუშაოებზე და დინამიური რისკების შეფასება.

7.1 რისკების შეფასება რუტინული სამუშაოებისათვის

სამუშაოს რისკების შეფასება უნდა ჩატარდეს ყველა სახის რუტინულ სამუშაოებზე, რისკებს შეფასების შედეგები უნდა იყოს დოკუმენტირებული და ასახული შესაბამის სამუშაო ინსტრუქციებში, რომელიც დაცული ინდა იყოს სამუშაოს შესრულების ყველა ჯერზე.

სამუშაოს დაწყებამდე დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ პერსონალი რომელიც ატარებს სამუშაოებს ათვისებულნი არიან და იციან სამუშაო პროცედურები. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია რეგულარული ინსტრუქტაჟებითა და ტრენინგებით.

რისკების შეფასება უნდა იყოს დოკუმენტირებული და დაარქივებული.

7.2 რისკების შეფასება არარუტინული სამუშაოებისათვის

სავალდებულოა ყველა არა რუტინულ სამუშაოებზე ჩატარდეს რისკების შეფასება. სავალდებულოა ვიცოდეთ არარუტინულ სამუშაოებთან დაკავშირებული რისკების და შესაბამისი საკონტროლო ზომები.

რისკების შესაფასება არარუტინულ სამუშაოებზე უნდა ჩატაროს კვალიფიციურმა პერსონალმა, რომელსაც უნდა ქონდეს სამუშაოსთან დაკავშირებული შესაბამისი ამომწურავი ინფორმაცია, რათა ადექვატურად მოხდეს საფრთხეების ზეგავლენის კონტროლი.

რისკების შეფასება არა რუტინულ სამუშაოებზე უნდა შედგეს, როდესაც:

- არა რუტინული სამუშაოების დაწყებამდე;
- სამუშაოს პირველად შესრულებამდე
- სამუშაოს შესრულებამდე საშუალო ან მაღალი რისკით;
- იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს სამუშაო პროცედურა მაგრამ არის მნიშვნელოვანი ცვლილებები;
- ადგილობრივი კანონმდებლობის მოთხოვნების გათვალისწინებით.

არა რუტინულ სამუშაოებზე რისკების შეფასების ნსაფხურები იგივე არის როგორც რუტინულ სამუშაოებზე. ხშირ შემთხვევაში რისკების შეფასების წარმოება ხდება ხელით შესაბამისი ფორმის გამოყენებით და არა ელექტრონულად.

არა რუტინული სამუშაოების რისკების შეფასების ერთ ერთ მაგალითს წარმოადგენს ე.წ. სამუშაოს უსაფრთხო ანალიზი. (JSA).

7.3 დინამიური რისკების შეფასება

დინამიური რისკების შეფასება არის პერსონალური რისკის შეფასება, რომელსაც აწარმოებს თანამშრომელი სამუშაოს დაწყებამდე. აღნიშნულის მაგალითია „სტოპ ბარათი“. ის უნდა შესრულდეს ყველა ჯერზე როდესაც სამუშაო არ არის კონტროლირებული რისკების შეფასებით ან სამუშაო ნებართვით.

იმ შემთხვევაში როდესაც არსებობს რისკების შეფასება და სამუშაო პროცედურა, დინამიური რისკების შეფასება აძლევს თანამშრომელს საშუალებას გაითვალისწინოს გარკვეული გარემოებები რაც დაკავშირებულია სამუშაოს შესრულებასთან და განახორციელოს უკვე დაგეგმილი კონტროლის ზომების ცვლილება ესეთის საჭიროების შემთხვევაში.

დინამიური რისკების შეფასება გამოყენებული უნდა იყოს ისეთი სამუშაოებისათვის, რომლებზედაც უკვე არსებობს სამუშაო პროცედურები. ის არ უნდა იყოს გამოყენებული არა რუტინულ სამუშაოებზე როგორც არა რუტინული რისკების შეფასების შემცველი.

7.4 რისკების შეფასება – „სამუშაო ობიექტი“ (სამუშაო ობიექტის რისკების რეესტრი)

გარკვეულ ქვეყნებს გააჩნიათ საკანონმდებლო მოთხოვნა, რომ ქონდეთ ყელა სამუშაო ობიექტის რისკების შეფასება, იდენტიფიცირებული იყოს ყველა საფრთხე და განსაზღვრული იყოს რისკების სემცირების ღონისძიებები.

არსებული მოთხოვნების არსებობის შემთხვევაში უნდა იყოს შესაბამისი პროცედურა ან სახელმძღვანელო (ადგილობრივ დონეზე).

8 დოკუმენტაცია

8.1 შაბლონი

რისკების შეფასება და სამუშაო პროცედურა რუტინულ სამუშაოებზე უნდა იყოს დოკუმენტირებული და შენახული. ადგილობრივ დონეზე უნდა მოხდეს სტანდარტული შაბლონების შემუსავება რისკების შეფასებისათვის. იხილეთ დანართი 1 რისკების შეფასების ფორმის მაგალითი.

8.2 H&S რისკების ინვენტარიზაცია

რისკების ინვენტარიზაცია, რისკების მართვის ერთ ერთ მნიშვნელოვანი კომპონენტია. იგი საწმომადგენს იდენტიფიცირებული საფრთხეების, შეფასებული რისკების და საკონტროლო ღონისძიებების ამსახველ დოკუმენტს თავისი ანალიზითა და განახლებით. იგი შეიცავს ინფორმაციას იდენტიფიცირებული საფრთხეების ყველა დეტალის შესახებ, ანალიზს და ინფორმაციას თუ როგორ უნდა მოხდეს რისკების შემცირება სასურველ დონემდე.

რისკების ინვენტარიზაცია, წარმოადგენს საშუალებას რომ განვსაზღვროთ რა სახის ქმედება, რა სახის სამუშაო პროცედურა და კონტროლის სპეციფიური ზომების არის საჭირო სამუშაო ობიექტზე.

8.3 საინფორმაციო პაკეტები

ობიექტის მენეჯმენტმა უნდა უზრუნველყოს ისკების შეფასებების გაცნობა პერსონალისათვის. კერძოდ:

- საკონტროლო ზომები
- ინფორმაცია ნარჩენ რისკებზე
- სხვა დამატებითი საკონტროლო ზომები რომლებიც მიმართულია რისკების სემცირებისაკენ

კონტრაქტორები და ვიზიტორებიც ასევე ინფორმირებულნი უნდა იყვნენ თუ მათ ეს ეხებათ.

საუკეთესო პრაქტიკის მაგალითს წარმოადგენს დოკუმენტის განთავსებას სამუშაო სივრცეში რომელიც დაცული იქნება მტვერის ან სხვა სახის ზემოქმედებისაგან და მუდმივად იქნება შესაძლებლობა რომ მოხდეს მისი წაკითხვა ადგილზევე.

აღნიშნული საინფორმაციო პაკეტი გამოყენებული უნდა იყოს მაღალი რისკის რუტინულ სამუშაოებზე, რომლებიც საჭიროებენ სამუშაო ნებართვას. ასევე ყველა სხვა სამუშაოზე თუ თანამშრომლები ან სუპერვაიზერები თვლიან მნიშვნელოვნად.

საინფორმაციო პაკეტი უნდა შეიცავდეს მინიმუმ:

- საფრთხის აღწერას და სამუშაო პროცედურას;
- შესაბამისი ნებართვის შაბლონს;
- საავარიო გეგმას;
- ხელსაწყო/მოწყობილობის ჩეკლისტს;
- დინამიური რისკების შეფასების ფორმას;
- სხვა დანარჩენ დოკუმენტაციას რაც დაკავშირებულია სამუშაოსთან.

9 პერსონალის ჩართულობა

რისკების შეფასების პროცესში ჩართულნი უნდა იყვნენ ის მუშა პერსონალი, რომლებიც იმყოფებიან საფრთხის ზეგავლენის ქვეშ.

პერსონალთან კონსულტაცია საჭიროა რისკების შეფასების ყველა საფეხურზე. პერსონალის გამოცდილება და ცოდნა არის ერთ ერთი საშუალება განვახორციელოთ საფრთხეების იდენტიფიცირება უფრო ფართო ჭრილში და განვახორციელოთ შესაბამისი ეფექტური საკონტროლო ზომები.

რისკების შეფასება უნდა შედგეს და განახლდეს შესაბამისი კომპეტენტური და კვალიფიციური პირის მიერ. შეფასებაზე ხელის მოწერით აღნიშნული პირი (პირთა წრე)

- აღიარებს და ათვისებობიერებს იმ მონაცემთა სიზუსტეს რაც მოცემულია დოკუმენტში
- აკეთებს დაშვებას, რომ სამუშაო შესაძლოა დაიწყოს დოკუმენტში ასახული საფეხურების დაცვა/გათვალისწინებით.

წესით ესეთი პიროვნება არის მენეჯერული პოზიციის ან სხვა სამუშაოზე დელეგირებული პირი.

კონტრაქტორებს გააჩნიათ ვალდებულება წარმოადგინონ მათ მიერ ჩატარებული რისკების შეფასება განსახორციელებელ სამუშაოებზე ან იყვნენ ჩართულნი კომპანია ჰაიდელბერგცემენტის მიერ განხორციელებულ რისკების შეფასებაში. ნებისმიერ შემთხვევაში ორივე ვარიანტი ითვალისწინებს შესაბამისი კვალიფიციური პირების ჩართულობას, როგორც კომპანიის ასევე კონტრაქტორი პირის მხრიდან.

10 რისკების კონტროლის იერარქია

რისკი უნდა იყოს მოცილებული ან შემცირებული სასურველ დონეზე.

ქვემოთ მოყვანილი იერარქია გათვალისწინებული უნდა ყველა ჯერზე როდესაც მოხდება რისკის მართვაზე გადაწყვეტილების მიღება.

1. რისკის აღმოფხვრა/მოცილება → სამუშაოს, მასალის და ა.შ. გადაკეთება, შეცვლა რომლის საშუალებითაც შესაძლოა საფრთხის სრული აღმოფხვრა/მოცილება.
2. ჩანაცვლება → საფრთხის ჩანაცვლება ნაკლებად საფრთხის შემცველი ფაქტორებით. ეს უნდა მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში როდესაც დავრწმუნდებით რომ ალტერნატივა რეალურად დაბალი რისკის შემცველია ვიდრე ორიგინალი.
3. იზოლაცია → საფრთხის ან საფრთხის შემცველი სამუშაოს იზოლირება პერსონალისაგან, რომლებიც ახორციელებენ სამუშაოებს. მაგალითად დამცავი საფარები, ბარიერები, დამცავი ეკრანები ან მარკირება.
4. საინჟინრო კონტროლი → ხელსაწყოებისა და მოწყობილობების მოდიფიცირება, პროცესების ავტომატიზაცია, ხელსაწყოებსა და მოწყობილობებზე დამცავი საფარების მონტაჟი თუ ამის საშუალება არსებობს. უპირატესობა კოლექტიური დაცვის საშუალებებს.
5. ადმინისტრაციული კონტროლი → სამუშაო პროცედურების დანერგვა და შესაბამისი სწვლებების უზრუნველყოფა. ეს ასევე გულისხმობს სამუშაო დროის ლიმიტირებას თუ ადამინი არის საფრთხის ზეგავლენის ქვეშ.
6. ინდივიდუალური დაცვის საშუალებები (PPE) → თუ სხვა საშუალებები ვცადეთ და არის არაეფექტური საფრთხის კონტროლისათვის ესეთ დროს გამოყენებული უნდა იყოს ინდ დაცვა.
 - o PPE ინდ დაცვას ყოველთვის უნდა ახლდეს ადმინისტრაციული კონტროლის ზომები, რომელიც თანამშრომელს გააცნობს/გააფრთხილებს ინდ დაცვის სწორად შერჩევაზე გამოყენებაზე, მოვლასა და შენახვაზე, ასევე იმ საფრთხეებზე რომლის საკონტროლოდაც გამოიყენება ინდ დაცვა.

11 კომპეტენცია

როგორც უკვე ავლნიშნეთ, რისკების შეფასება ჩატარებული უნდა იყოს იმ პირების მიერ რომლებთანაც გააჩნიათ შესაბამისი კომპეტენცია. ყოველივე ეს ითვალისწინებს ამ პირთა წრის რეგულარულ ტრენინგებს და კომპეტენციის შეფასებას.

სხვა პირები ან პირთა წრე, რომლებიც ასევე ჩართულნი არიან რისკების შეფასებაში ასევე რეკომენდირებულია იყვნენ კომპეტენტური, მაგრამ არ არის სავალდებულო მოთხოვნა რისკების შეფასებისათვის.

იმ შემთხვევაში თუ რისკების შეფასება ეხება გარკვეულ სპეციფიკურ საკითხს (ელექტროობა, აზბესტი და ა.შ.) შემფასებელი უნდა დარწმუნდეს, რომ პიროვნება შესაბამისი უნარებით და გამოცდილებით ჩართულია შეფასების პროცესში.

პერსონალი რომლებიც ახორციელებენ დინამიურ რისკების შეფასებას უნდა იყვნენ დატრენინგებულნი.

წარმოების ყველა პასუხისმგებელ პირს უნდა ჩაუტარდეს რისკების შეფასების ტრენინგი.

12 დანერგვა და კონტროლი

შეუსაბამობის ანალიზი უნდა გაკეთდეს აღნიშნული სახელმძღვანელოს გამოცემიდან 3 თვის პერიოდში.

ქვეყნები, რომლებთანაც გააჩნიათ რისკების მართვის პროცედურა, ვალდებული არიან განახორციელონ შესაბამისი ცვლილებები 6 თვის ვადაში აღნიშნული სახელმძღვანელოს გათვალისწინებით.

სტანდარტის დანერგვა უნდა გაკონტროლდეს შიდა აუდიტის მეშვეობით.

13 დამატებითი ინფორმაცია და დოკუმენტაცია

დამატებითი ინფორმაცია ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე:
<http://unite.grouphc.net/wok/hs/Pages/default.aspx>

საკონტაქტო ინფორმაცია:

დოქტორი კლაუს ჰორმანი

ჯგუფი/ NEECA H&S მენეჯერი

ჯგუფის ადამიანური რესურსები

ტელეფონი: +49 6221 481 32007

klaus.hormann@heidelbergcement.com

დანართი 1 – რისკების შეფასების ფორმის ნიმუში

safe work healthy life		Risk Assessment Form			HEIDELBERGCEMENT						
		Insert your company logo									
Task / Process		RA Number									
		Version Number									
Business line		Frequency of Task or Process									
Site		Number of people affected									
Department		At risk groups									
Exact Location		Name(s) of Assessor(s)									
Equipment Name		Date Assessed									
Equipment No		Review by date									
				Risk			Residual Risk				
Hazardous Element	Potential Effect of the Hazard (consider Quality / H&S / Environmental impacts)	Existing Controls	Risk			Additional Controls Required			Residual Risk		
			Probability	Severity	Risk	Probability	Severity	Risk	Probability	Severity	Risk



Template Risk Assessment Form.xls

დანართი 2- ისკების მატრიცა

აღნიშნული მატრიცა გამოიყენება ჰენსონის მიერ

		H&S ს ი მ მ ი მ ე					
აღბათობა	მსხვერპლი	10	0	10	20	40	60
	შრომის უუნარობა ან LTI > 1 თვე	7	0	7	14	28	42
	LTI	4	0	4	8	16	24
	MTI	2	0	2	4	8	12
	უმნიშვნელო ან მცირე დაზიანება	1	0	1	2	4	6
			0	1	2	4	6
რისკი = სიმძიმე x აღბათობა			ზიანის გარეშე	დაბალი აღბათობა	საშუალო აღბათობა	შესაძლებელი	მაღალი აღბათობა
			ა ლ ბ ა თობ ა				

რისკების ფერებით კოდირება:

ზიანის გარეშე	0	მუშაობა უსაფრთხოა
საშუალო რისკი	1 -4:	მუშაობა დამატებითი ყურადღებით
	5 -11:	
მაღალი რისკი	12-60:	დაუშვებელია მუშაობა, საჭიროა დამატებითი საკონტროლო ზომების გატარება

აღბათობა

ნულოვანი ზიანი	პრაქტიკულად შეუძლებელი, გამონაკლისების გარეშე	100+წლის მოვლენა
ნაკლებად სავარაუდო	შეიძლება მოხდეს	10 -100 წლის მოვლენა
სავარაუდო	იშვიათი მოვლენა	1 -10 წლის მოვლენა
შესაძლო	შესაძლოა მოხდეს გარკვეული გარემოებების გათვალისწინებით	მოვლენა რომელიც დგება ყოველწლიურად
მაღალი აღბათობა	მოსალოდნელია რომ მოხდეს. გავრცელებული ან განმეორებითი შემთხვევა	მოვლენა რომელიც დგება ყოველთვიურად

დანართი 3 – პოტენციური საფრთხეები (არა სრულყოფილი)

საფრთხე	შესაძლო ზიანი
ხელით შრომა	გადაღლა განმეორებითი მოძრაობები გამოიწვევს კუნთოვან დაძაბულობა/დაზიანებას
გრავიტაცია	ვარდნილი საგნები, სიმაღლიდან ვარდნა, ფეხის წამოკვრა, ასრიალება და დაცემა გამოიწვევს მოტეხილობებს, სხეული მძიმე დაზიანებას ან გარდაცვალებას
ელექტროობა	კონტრაქტი ელ ენერგიასთან გამოიწვევს დამწვრობას, შოკს ან გარდაცვალებას
მექანიკური ხელსაწყოები და მოწყობილობები	ხელსაწყოების მოძრავ ნაწილებთან შეხება გამოიწვევს ნაფლეთ ჭრილობებს, მოტეხილობას, სხეულის ნაწილის ამპუტაციას ან გარდაცვალებას
ქიმიკატები	ქიმიური ნივთიერებები (მჟავები, ნახშირწყალბადი, მძიმე მეტალები) და მტვერი (აზბესტი, სილიციუმი) მათი ზეგავლენით შესაძლოა დადგეს სასუნქი გზების პრობლემები, კიბო, დერმატიტი
მაღალი ტემპერატურა	მაღალი ტემპერატურა გამოიწვევს დამწვრობა, სითბურ სტრესს, გაუწყლოვნებას
ხმაური	ხმაურის ზეგავლენა გამოიწვევს დროებით ან მუდმივ სმენაჩლუნგობას.
რადიაცია	ულტრა იისფერი გამოსხივება, შედუღებისას წარმოქმნილი რკალი, მიკროტალღური გამოსხივება, ნეიტრონული გამოსხივება გამოიწვევს დამწვრობას, მხედველობის ორგანოების დაზიანება, სიბრმავეს, კიბოს, სისხლის გათეთრებას.

ბიოლოგიური აგენტები	მიკრო ორგანიზმებმა შესაძლოა გამოიწვიონ ა/ბ ჰეპატიტი, ინფექციური, ვირუსული დაავადებები
ფიზიკური საფრთხეები	სამუშაოსთან დაკავშირებული სტრესი, ბულინგი გამოიწვევს ინციდენტს
გაზები	გამოიწვევს მოგუდვას, აალებას ან აფეთქებას.